



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობილ ბეჭე-  
უძი სიფყვას, ფუთილებით და ჭებებით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უკადრისებზე უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი. 2022 წ. №184 (9522) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## „გაუგება-არგაუგება“, სიკვდილ-სისოსხლის პრობლემა

დაბადებიდან ნერვო-ფსიქოლოგიური პრობლემებით დაბმობე-  
ბულმა და ფსიქიკურად არაადეკვატურმა ფიურერმა იმდენი მოახერხა,  
რომ ნაცების მხარდამჭერი „პოლიტიკოსი“ ექიმები, უზნეო ლი-  
ბერასტები და ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი – ე. წ. ნაცსროგა,  
კიდევ ერთხელ დაუპირისპირა ჯანსაღი საზოგადოების უმრავლეს-  
ობას, ნანატრი მშვიდობის შენარჩუნებისთვის მიშველი ხელებით  
მებრძოლ დღევანდელ მთავრობას და მთელი აქცენტი საკუთარი  
ავადმყოფი სულისა და სხეულის კლინიკიდან „გაშვება-არგაშვე-  
ბის“ ტრაგიკულ კომედიამზე გადააგანინა!..

სასამართლო გადაწყვეტს ჩამოწერილი ფიურერის საზღვარ-  
გარეთ გაშვებას? – სახელმწიფო უსუსური და დამორეზული გახდება;  
არ გაუშვებენ „უკურნებელი ფსიქიკური აშლილობით“ მოვ-  
ლენილ არსებას? – საზღვარგარეთელი „მეგობრების“ მეწოლა  
კიდევ უფრო გაიზრდება და ხელისუფლება უფრო დამარცხებუ-  
ლი გამოვა!

რა ვქნათ?  
მიხა, ეს ბოლომდე მათრებელი „უკრაინელი“ გზირი, არამც  
და არამც საკუთარი მიწა-წყლიდან არ უნდა გავეშვათ და ქარ-  
თველი საზოგადოების მიწიშე 70-80-მა პროცენტმა კანონი და  
სამართალი, ჩვენი ტრადიციული მწეობა და სულიერება მკაც-  
რად დავიცვათ!

მერწმუნეთ, ამით არაფერი დაშავდება, პირიქით, კიდევ ერთხელ  
დავამტკიცებთ, რომ... საქართველო არ მომკვდარა, ჩვენი თავი  
ჩვენადვე გვეყუდუნის და მუდამ სიკვდილი გვერჩივნა ნაზრახ სი-  
ცოცხლეს!..



საუბ-  
რისას  
„დიდება  
უკრაინას“...



## „ქმეზს დალატობენ ქმეზი“!

## მიზანი: მეტი და უკეთესი გზა!



10 დეკემბერი  
საქართველოს  
მეგზავთა დღეა

საქართველოს მეგზვეთა საზოგადოება დიდი გულწრფე-  
ლობით ულოცავს პროფესიულ დღესასწაულს „მეგზვეთა დღეს“ სა-  
ქართველოს მეგზვეთა დიდ არმიას, ყველა მეგზვეს და იმ სპეცია-  
ლისტს, ვინც თავისი მოღვაწეობით მჭიდროდ არის დაკავშირებუ-  
ლი საავტომობილო გზების კვლევის, პროექტირების, მშენებლობის,  
ექსპლუატაციის და მოვლა-პატრონობის სამუშაოებთან, რომლებიც  
დღევანდელ მულტიპლურულ ემსახურებთან საქართველოში საგზაო  
ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო  
მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ამოცანას.


ეს დარგის მრავალრიცხოვანი კოლექტივის საერთო ზეიმი,  
რომელიც ჩვენს ქვეყანაში 1965 წლიდან აღინიშნება. ეს დღე  
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგზაო დარგში მომუშავე პრო-  
ფესიონალებისთვის, რადგან მეგზვეები ის ადამიანები არიან, რომ-  
ლებიც დღე და ღამე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თავდაუ-  
ზოგადედ შრომობენ და სწორედ ამ გმირული შრომის შედეგია ის  
თანამედროვე და მაღალი სტანდარტების საგზაო ინფრასტრუქტურ-  
ა, რომელსაც ჩვენ ყველანი ერთობლივად ვაშენებთ.

საქართველოს მეგზვეთა საზოგადოების ერთსულოვანი მიზა-  
ნია საავტომობილო გზების დარგში გზების, ხიდების, გვირაბების  
და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობისა და მოვლა-შენა-  
ვის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებისათვის ხელშეწყო-  
ბა, რეკომენდაციების შემუშავება, ახალი სტრატეგიული მიმართუ-  
ლებების და დარგისთვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტაციის  
შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება, ეკონომიკური, ეკო-  
ლოგიური და ეროვნული ინტერესების გათვა-  
ლისწინებით და დარგში თანამედროვე ტექნო-  
ლოგიების პრაქტიკული განხორციელება.

კიდევ ერთხელ უნდა მოგილოცოთ დღევან-  
დელი დღე და გისურვოთ წარმატებები პირად  
და პროფესიულ ცხოვრებაში!

დიდი პატივისცემით,  
საქართველოს მეგზვეთა საზოგადოების  
თავმჯდომარე, აკადემიკოსი

თამაზ შილაკაძე



## მათ მოყვანის თანადგომისთვის განირეს სისოსხლე

ილია მორა გახეზთან დალუპული ქართული  
მეზროლები მოჯახებს სამძიმარს უსხადას

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მორა  
გახეზთან დალუპული ქართული მეზროლები: ავთანდილ რურუას, რომელი კვა-  
რაცხელიას, რომელი ფიჩხაიას, მერაბ ალადაშვილისა და ბადრი მარკელი-  
ას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს სამძიმარს უცხადებს.

„დიდია თქვენი და ჩვენი მწუხარება ა.წ. 3 დეკემბერს ბახმუტთან სასტიკი ბრძოლის დროს  
სუთი ქართველის, – ავთანდილის, რომელი, რომელი, მერაბის და ბადრის გარდაცვალების გამო,  
რომელთაც მოყვანის თანადგომისათვის განირეს სისოსხლე.“

„აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალმა სავანესა მართალთა და ანსეს მათი უკვდავი სული,  
ხოლო თქვენ მოგანიჭოთ ლოცვის ძალა და ურყევი რწმენა იმისა, რომ სიცოცხლე არ მთავრდე-  
ბა გარდაცვალებით, არამედ იგია დასაწყისი მარადიული, ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომლისთვისაც  
ჩვენ ყველანი უნდა მოვემზადოთ“, – ნათქვამია პატრიარქის სამძიმრის წერილში.

ირაკლი ღარიბაშვილი:  
ჩვენი 11 გმირის  
ნეშტი დავეზრუნეთ  
ოჯახებს და  
მინდა ჩემი  
სამძიმარი  
ვუთხრა მათ



ჩვენი 11 გმირის ნეშტი დავეზრუნეთ ოჯახ-  
ებს და მინდა ჩემი სამძიმარი ვუთხრა მათ, –  
ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღა-  
რიბაშვილმა განაცხადა.

„სანამ ჩვენ აღვადგენთ კონტროლს აფხაზეთსა და  
ცხინვალში, ჩვენ გვჭირდება ჩვენი პარტიზორების  
ჩართულობა. „წითელ ჯვარს“ აქვს ამ კუთხით ფას-  
დაუდებელი როლი და მინდა მადლობა გადავუხადო


მათ და ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროცეს-  
ში. ჩვენი 11 გმირის ნეშტი დავეზრუნეთ ოჯახებს  
და მინდა ჩემი სამძიმარი ვუთხრა მათ.“

ოკუპირებული აფხაზეთიდან 1990-იანი წლე-  
ბის შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-  
უკვლოდ დაკარგული 11 პირის იდენტიფიცირე-  
ბული ნეშტია გადმოსვენებული, მათგან 8 სამ-  
ხედრო და 3 მშვიდობიანი მოქალაქე.

ევროკავშირის მიხედვით საქართველოში  
საზღვრო დარღვევების შესახებ  
პრეზენტის ნარეკტორის ახლოვება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ბატალიანი და საგარეო უწყარის მდივანი კარენ კეკელიძე ერთად შეხვედნენ ჟურნალისტებს და განაცხადეს, რომ საქართველოში საზღვრო დარღვევების შემცირების მიზნით ევროკავშირის მხარე მხარს უჭერს საქართველოს საზღვრო დარღვევების შესახებ...

საზღვრო დარღვევების შესახებ, რომელიც ევროკავშირის მხარე მხარს უჭერს საქართველოს საზღვრო დარღვევების შესახებ... ევროკავშირის მხარე მხარს უჭერს საქართველოს საზღვრო დარღვევების შესახებ...



ახალი ავიახაზების და მარშრუტების  
სტიმულირებისთვის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ბატალიანი და საგარეო უწყარის მდივანი კარენ კეკელიძე ერთად შეხვედნენ ჟურნალისტებს და განაცხადეს, რომ საქართველოში საზღვრო დარღვევების შემცირების მიზნით ევროკავშირის მხარე მხარს უჭერს საქართველოს საზღვრო დარღვევების შესახებ...

კვლავ დაკვირვება, არსებული სერვისების გაუმჯობესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მთავრობის ადმინისტრაციაში გა- მართულ შეხვედრას TAV Airport-ის ვი- ცე-პრეზიდენტი ფრენკ მერიდი, TAV გეორგია-ს გენერალური მენეჯერი თეა ზაქარაძე და ვიცი-პრეზიდენტი, საქართვე- ლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვი- თარების მინისტრი ლევან დავითაშვი- ლი ესწრებოდნენ.

ახალგაზრდობა ასე ფიქრობს!

ევროკავშირის  
კანდიდატის სტატუსი:  
რატომ  
მოღწევა  
და არა  
საქართველო?

ადგილობრივი ევროპის ევროკავშირში ინტეგრაცი- ის საკითხი არაერთგვაროვან ფაქტორებს და მოიცავს მისი გადაწყვეტა მოკლე ვადებში, განსაკუთრებით პოსტსამტოვა წარსულისა და დღემდე რუსული გავლენების მქონე საზოგადოებებში ვერ მოხერხდება. ამდენად, იგი მრავალ რეფორმას თუ ცვლილებას მოითხოვს, რის შესახებაც ჩვენში არაახალი, მგვრკუნ ნათქვამი და უკვე გაანალიზებულია.

დღის მდგომარეობით, რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის პირობებში საქართველოს პოზიციონირება მშვიდობის შენარ- ჩენების შესახებ, რუსეთის არგალიზაციის იმ პოლიტიკის მარტივი გაგრძელებაა, რომელიც უკვე დიდი ხანია, როგორც ჩანს, ჩვენს სტრატეგიულ არჩევანს წარმოადგენს და რომელიც, სამწუხაროდ უკვე გადაიქცა დასავლელი და პირდაპირი სტრატეგიული მოკავშირეების დაპირისპირების, მათთან დაკავშირებული პოლიტიკად. უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობასთან დაკავშირებული არსებ- ლი გამოწვევებიდან გამომდინარე, თითქმის შესაძლებელია ამა- ამჟამინდელი მიდგომის გამართლება მოუწახოთ, რად- გან ყველანი ვაცნობიერებთ, კრემლის დამნაშავე მსგავსების სახით რამდენად სამიშ, არაპროგნოზირებად რეჟიმთან გვაქვს საქმე. ამდენად ერთი მხრივ, ჩემთვის მსგავსი დამოკიდებუ- ლება თითქმის გასაგებია უნდა იყოს, თუმცა მეორეს მხრივ, ის- ისინი წარმოადგენენ გლობალური ძვრებიდან გამომდინარე შე- საძლებლობების ხელიდან გაშვების წინაპირობას. ეს იმიტომ, რომ დღევანდელი დასავლური პოლიტიკა, პრაგმატულ და რა- ციონალურად ერთად, უკვე დაეფუძნა სენსიტიურ და ემოციურ განწყობებს. უკრაინაში მომხდარი ფაქტებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოების დამოკიდებულებები შეფასდება და ფასდება კიდევ იმის მიხედვით, თუ რა პოზიციას დაიჭერთ მიმდინარე ომთან დაკავშირებით. ამდენად, ჩვენი დასავლეთ- თან ინტეგრაციისთვის, იმ ომში, სადაც ცივილიზაციის ერთი მხარე სრულიად განცალკევებით დგას მეორე, როგორც ჩანს საკმა- ოდ დეგრადირებული და ტრიბალური ნაწილის წინაშე, დამო- კიდებული იმაზე, თუ რომელი ფლანგის სასარგებლოდ გაე- კეთებოთ არჩევანი.



ფიქრობთ, საინტერესოა უფრო ჩავერძებოდეთ „ქარ- თული ოცნების“ შეხედულებას, რომ სანქციებში ჩაშრა ნეგატიურად იახლება ქართველი ხალხის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. არსებითად, ეს ამსოლუტურად სწო- რია, რადგან სანქციები არათუ საქართველოსთვის, არამედ დასავლეთის მძლავრი ეკონომიკებისთვისაც არ ყოფილა მარტივი. ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ რუსეთის მაზარზე მიმართული ქართული ეკონომიკა, რომელიც ქარ- თული ექსპორტის 15%-ს შეადგენს (მისი წილი განსა- კუთრებით მაზარადა 2013 წლის შემდგომ) დაასუსტებს და გავლენას მოახდენს როგორც ქართველ ფერმერ- ბე ასევე მეწარმეებზე. ამასთან გაზრდის ინფლაციას საქ- ვაგის ფასების ზრდიდან გამომდინარე. თუმცა, ამ შემ- თხვევაში ცივილიზებული სამყარო იმყოფება ერთგვარ ცივილიზაციურ ომში, რასაც თავისთავად ცხადია, ნე- გატიური ეკონომიკური შედეგები თან მოჰყვება კიდევ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რამდენად ხელფ- ნურად მოხდა სანქციების მიერთების საკითხის აქტუ- ალიზაცია, რომელსაც, დასავლელი პარტნიორები ჩვენგან არც ერთი განცხადებით არც კი ითხოვდნენ. აქედან გამომდინარე, საკითხის აქტუალიზაციას იმავე ძალა- უფლების შენარჩუნებასა და ელექტორატზე გავლენის მოხდენას ემსახურებოდა მიზნად, რომელთაც ამაჟამინ- დელი მმართველი წრეები მხსნელის სახით უნდა მო- ევლინონ ომში არჩართვისა და რუსეთთან სტაბილუ- რი საგაზრო ურთიერთობების შენარჩუნების კონტექსტში. რაც შეეხება საქართველოს ომში ჩართვის რიტორიკას, პირ- დაპირ ვიტყვით, რომ ეს ნარატივი წარმოადგენს ერთგვარ ამსურდულ უტოპიას, რომელშიც სამწუხაროდ მმართველი ელიტა ადანაშაულებს როგორც ამერიკას და მთლიანად დასავლეთს, ასევე უკრაინასაც. ჩვენი აზრით, რეგიონში, ამ შემთხვევაში კავ- კასიაში, კიდევ ერთი კონფლიქტი დამატებით არათუ ხელს აძლევს დასავლეთს, არამედ სრულიად ეწინააღმდეგება მათ

საგარეო პოლიტიკურ ამოცანებსა და მიმართებებს. მეტიც, რუ- სეთის მიერ საქართველოში ომის ამჟამად დაწყება სრული კრახი იქნება თითოეული დასავლური ქვეყნის მთავრობისთვის, რადგან ასეთ შემთხვევაში ისინი დამატებით ვერც ახალი საომარი კენის გაჩენას შეუძლიან ხელს და ვერც მშვიდობიანი მსოფლიოს შენარჩუნებას. ეს განსაკუთრებით თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, როდესაც დასავლეთის სპეცსამხარულებს კარგად მოეხერხებათ, თუ რამდენად დაკნინებული ამ დროისთვის საქართველოს საომარი შესაძლებლობები, და რამდენად არ შესწევს მას ძალა რუსეთისთვის გასამკლავებლად. შესაბამისად, ხელისუფლე- ბის მხრიდან ომში ჩართვაზე აპელირება ხდება იმის გათვალ, რომ გამართლდეს უნარო საგარეო პოზიციონირება და რუსეთის არგალიზაციის პოლიტიკა, რადგან მხოლოდ ამითაა ქარ- თველი ხალხის დარწმუნება შესაძლებელი, რომ ისინი უკრა- ინას საფუძვლიანი მიზეზით არ დაეხმარნენ.

ახლა განვიხილოთ, რა პოზიციას უჭირავს მოლდოვას: როგორც მოგეხსენებათ, მოლდოვას რომელიც კონსტიტუ- ციურად ნეიტრალური ქვეყანაა და საკმაოდ ჩამორჩენილია როგორც ეკონომიკურად, ისე ინსტიტუციურად, ჩვენგან გან- სხვავებით, მინიჭა კანდიდატის სტატუსი. ვფიქრობთ, ამის პირ- ველი მიზეზი ისაა, რომ როგორც უკვე აღვნიშნე დღისთვის ევროპული პოლიტიკა საკმაოდ გადაიქცა ემოციურ და სენ- სიტიურ გადაწყვეტილებებზე, რომელიც ომიდან გამომდინარე წარმოიქმნა. ამდენად, მოლდოვის მკვეთრმა უკრაინის მხარ- დამკვრმა პოზიციამ, რომელიც უდრდებდა ქვეყნის საკმაოდ პროგრესული და ევროპული ელიტისთვის კარგად ცნობი- ლი სამთავრობო ფიგურების მიერ, გადაწყვეტი გავლენა მო- ახდინა სტატუსის მიღებაზე.

ამასთან, მიუხედავად გემოთადინებული ეკონომიკური და ინსტიტუციური პრობლემებისა, მოლდოვა ხასიათდება ნაკლები პოლარიზაციით და რეგიონულ დონეზე ძალაუფლების სხვა პარტიებსა თუ დამოუკიდებელ მერებზე გადანაწილებით. სხვა საკითხია მათი ეფექტიანობა, თუმცა, ძალაუფლების იმ ფორმით ცენტრალიზაციას, როგორც საქართველოს რეგიონების შემ- თხვევაში ვხვდებით, იქ ნამდვილად არ აქვს ადგილი.

ყოველივე ამან, სწორედ მოლდოვის სასარგებლოდ გადაწონა. ჩვენს შემთხვევაში, დემოკრატიის, პოლიტიკური თანხმებისა და მედიის უსაფრთხოების, პარტიული პლუ- რალიზმის ნიშნულები როგორც ჩანს, ძალიან დაბალ დონეზეა და არ აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს. მინდა, ვთქვა, რომ პირადად გამოვლილბიდან გა- მომდინარე, სრულიად ვეთანხმები მოლდოვის შესახებ ევროკავშირის რეკომენდაციას და მივიჩნევ, რომ როგორც პოლიტიკური ნების, ისე ზოგადი მზაობის თვალსაზრისით, მოლდოვის მმართველი ელიტა, კანდიდატის სტატუსის- თვის არამხოლოდ უფრო მეტად იყო მზად, ასევე, მათ ამის უფრო მეტი სურვილიც ჰქონდათ.


ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პასუხი კითხვაზე – თუ რატომ მოლდოვა და არა საქართვე- ლო, უნდა ვეძებოთ ჩვენ მიერ მთლიან დროს მიღებულ გადაწყვეტილებებსა თუ საჯაროდ დაფიქსირებულ მო- საზრუნებებს და არა იმ ნაწილში, ვკომბინირთ თუ არა რომელიმე სხვა ქვეყანას ეკონომიკური ან ინფრასტრუქ- ტურული თვალსაზრისით. ეს კი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი არც ჩვენთან იმყოფება სა- უკეთესო შესაძლო მდგომარეობაში და სიღარიბისა თუ ინფრასტრუქტურული განვითარების პრობლემები ცალ- სახად თვალმისაცემი და ადვილად ხილვადია.

გიორგი ლაბაძე, ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი, თსუ, „საქართველო – 3 ზღვის ინიციატივა“









მუცელს და მშობლიური მიწიდან აყრის ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ მათი კუთვნილი მიწები „ვილაც მესამის“ დაინტერესებაა... მით უმეტეს, რომ ყირიმსა და უკრაინის სამხრეთში ახალი სახელმწიფოს შექმნა ჯერ კიდევ 100 წლის წინ იგეგმებოდა და 200 000-მდე ებრაელი ჩასახლებულა კიდევ, რის თაობაზე ინფორმაცია მედიასაშუალებებით საზღვარგარეთაც ვრცელდება და საქართველოშიც.

ადგილობრივ სლავებს რას უპირებენ? ცნობილია, რომ მაგ., გერმანიაც და საფრანგეთიც (შედეგით და შედეგითაც, ბალტიისპირეთის ყოფილი რესპუბლიკებიც, საიდანაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ევროკავშირში გაწევრიანებისთანავე სხვა ქვეყნებში შედარებით მაღალი შრომის ანაზღაურების გამო გადასახლდა), სიხარულით იღებენ ამჯერად უკვე ევროპულ ლტოლვილებს, რომლებიც აფრიკელებისა და აზიელებისთვის განკუთვნილ დაბალანზღაურებულ სამუშაო ადგილებზე საქმდებიან. შესაბამისად, შემცირდება ევროპის მუსლიმობაყის ტემპიც და, გამორიცხული არ არის, სლავების (მელარუსების, რუსების და უკრაინელების) მოზღვაების საბაზით, ევროკავშირმა (ან ზოგიერთმა წევრმა), უახლოეს მომავალში, საერთოდ თუ არ აკრძალა, კვოტები დააწესოს აფრიკელი და აზიელი „მიგრანტებისთვის“ (ამის თაობაზე პირველად გერმანიის მთავრობის განცხადებით, „პუტინის სპეცოპერაციას“ ზოგიერთი „ევროპელი მეგობრისთვისაც“ მოაქვს სარგებელი...

თუ გავითვალისწინებთ, რომ გარედან, მით უმეტეს უკრაინის მიერ, რუსეთის ძალით დამარცხება, პრაქტიკულად, შეუძლებელია (მისი ბირთვული არსენალის გათვალისწინებით, მეტად სარისკოცა...), ამასთან, უკრაინაში შეჭრის მომენ-

# „ქმეზს ღალატობენ ქმეზი“!

თავიდანვე ვაცხადებ, ჩემთვის მართლმადიდებელ რუსსა და უკრაინელს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც მათი კრძალვების რუსულად („ВЛАДИМЕР“) და უკრაინულად („ВОЛОДИМЕР“) დაწერილ სახელებს შორის... შესაბამისად, ქმეზად თუ არა, ახლოვდება მიიწვით და რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპაციას ახსენებდა და ქართველების ან გამსახუნდასა და შევარდნაძის მომხრეების სისხლიან დაპირისპირებასთან განვიხილო. მრავალია, რომელსაც ევროპაში მცხოვრები, თანაც მოგაგვადნა ვინაღმდეგ იტოვებდა სლავების ორი მონათესავე ჯგუფი XXI საუკუნეში ერთმანეთს ჯიშვებს უსვრის და „მტრის“ დახმობით პანისკაცების რიგში იტოვებს თავს, ნაცვლად იმისა, რომ გავანა „ყოვლისშემძლე“ არაკაცებმა ცემის დაუყოვნებლივ შეწყვიტოს თაობაზე გასწავრა და, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით დასდენ მოლაპარაკების მაგიდასთან. ამდენად, ვუძინებს და გაუფრთხილს, როგორც საკუთარი ხალხის, ასევე კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თანამოცილებად მივიჩნევ, რომლის ორგანიზატორი ან მამხრეებელი ისევე „ვილაც მესამე“...

## სვესოპერაცია „დიდება უკრაინას“...

დავრწმუნდი, რომ „ვილაც მესამის“ (სავარაუდოდ, სამტრია კავშირისა და იუგოსლავიის დამოღის, აგრეთვე „ფერადი რევოლუციების“ სცენარების ავტორთა ან დამფინანსებელთა გავლენიანი ჯგუფის) მიერ დაგეგმილი მორიგი „სპეცოპერაცია“ სახელად „დიდება უკრაინას!“ წარმატებით მიმდინარეობს...

ცხადია, როდესაც ახალგაზრდა და ენერგიული მთავარსარდლისგან მსგავს საჯარო განცხადებებს მოისმენს, მით უმეტეს შემოდგომის მიწურულს, მაღალი ალბათობაა, რომ ოკუპანტებისგან, ფაქტობრივად, გაურკვეველი ვადით განთავისუფლებულ, თანაც „გაპარტახებულ და დანაღბულ“ ტერიტორიაზე დაბრუნების სურვილი არც უკრაინელს გაუჩნდეს და არც რუსს.

არადა, როგორც ვიცო, უკრაინის არაკუპირებულ ტერიტორიებზე არა მარტო პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, ტელევიზიამ და რეინიგმა მუშაობს დაუზრკოლებლად (მაღალი რანგის სტუმრებსაც იღებენ და აცილებენ, არამედ ნოტარიუსებიც უკრობლემოდ აფორმებენ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებს... ამასთან, მსოფლიოში ყველაზე ნაყოფიერი 1 ჰექტარი ე. წ. შავმიწა ნიადაგიანი „უკრაინის ნაწილის“ ყიდვა კონფლიქტის ზონაში თურმე უკვე ათას აშშ დოლარადაც შეიძლება, როდესაც „სპეცოპერაციამდე“ 4-დან 10 ათას დოლარამდე ღირდა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში ასეთი ხარისხის მიწა 40-70 ათასი ევროს ფარგლებშია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მსოფლიოში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა უკრაინულ მარცვლეულზე, ევროპაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მეტრად უკვე სრულიად გამოფიტულია (დეგრადირებულია), ხოლო უკრაინული მიწა საუკეთესო ხარისხისაა. ამასთან, მისი გასხვისება მხოლოდ 2021 წელს დაკანონდა და დღემდე საკმაოდ დიდი ფართობები 49-წლიანი იჯარითაც არის გაყვნილი, ძირითადად კი ამერიკულ კომპანიებზე, მათ შორის ისეთ გიგანტებზე, როგორებიც არიან „კარგილი“, „დიუპონი“, „მონსანტო“...

ტში პუტინს არც მოზილიზაცია ჰქონდა გამოცხადებული და დღემდე არც თანამედროვე შეიარაღებას იყენებს (მაგ., ტანკ „არმადას“ ან გამანადგურებელ „სუ 57“ -ს), როგორც ჩანს, სპეცოპერაციის გაჭიანურება და მძობლებით დაკავებული პოზიციების დათმობა, დიდად არ აწუხებს. გარდა იმისა, რომ რამდენიმე რუსულენოვანი რეგიონი უკვე მიიერთა, ოფიციალურად, მხოლოდ ნაწილობრივი (შებლდული) მოზილიზაციის გამოცხადებით, თუმცა, ფაქტობრივად, ყველა ასაკის მამაკაცისთვის უწყების გაგზავნით და საზღვრების, ერთი შეხედვით, თითქოს ულოგიკოდ არჩევებით, რეალურად, პუტინმა ქვეყნიდან მოიცილა მისი რეჟიმის მილიონზე მეტი პოლიტიკური მოწინააღმდეგე და „გლობალისტი“, რომელთა გაერთიანებებს „ფერადი რევოლუცია“ და ერთპიროვნული მმართველის დამხობა შეიძლებოდა მოჰყოლოდა... აცხადებენ კიდევ მისი მომხრეები: „მოლოდენე! იზმავილსა ოტ სზროდაო...“ (მაგარი! მოიშორა ნაძირალა-ვიგინდარებო...).

ამასთან, ყირიმისა და დონბასის ნაწილის ანექსიით პუტინმა „ველიკოდერჟავული“ მენტალიტეტის ქმეზი რუსები შეაკავშირა და, შესაძლებელია, 2024 წელს, მელარუს-რუსეთის ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოს (სლავურ ან სუვერენულ სლავურ რესპუბლიკათა კავშირის ან კონფედერაციის) პრეზიდენტადაც მოგვევლინოს, რომელსაც უკრაინის ნაწილიც („ნოვოროსიაც“) ექნება მიერთებული...

ადრეც მითქვამს და დღესაც გავიმეორებ, როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს „სპეცოპერაცია“, დარწმუნებული ვარ, რუსი და უკრაინელი ხალხი ორივე წაგებული დარჩება. თუმცა, ამ უდიდესი ადამიანური და გეოპოლიტიკური ტრაგედიით ზოგიერთები ნამდვილად იხიერებენ (მათ შორის, ოკეანის გაღმაც...). გარდა იმისა, რომ კონფლიქტში პირდაპირ ან ირიბად მონაწილე ქვეყნების შეიარაღება გადაიარაღებებზე და დიდ ფულს „მოტყდება“ (წამლებისა და ვაქცინების წარმოებაზე გაცილებით მოგვებიანი ბიზნესია...), რუსეთი კიდევ დიდი ხნით აღმოჩნდება იზოლირებული ევროკავშირისგან და ვერც მისი ბუნებრივი რესურსების ინტეგრირება მოხდება დასავლურ (მაგ., გერმანულ) ტექნოლოგიებთან.

ამჯერად, შევეცდები, გავარკვიო, ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პოსტსაბჭოთა სივრცეზე მორიგი შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღებით და მისი გაჭიანურებით. რამდენიმე დღის წინ ზელენსკის მორიგი ტელევიზიონური „ვარდების რევოლუციის“ შედეგად გამარჯვებული ხალხის ტელევიზიამაც გაავრცელა, უკრაინე გამოტანილი წარწერის „პუტინის ომი უკრაინაში“ თანხლებით. „ვილაც მესამის“ ხელშეწყობით პრეზიდენტად არჩეულმა ყოფილმა „შოუმენმა“ (პოპულარულ კომედიურ სერიალის უკრაინის პრეზიდენტის როლის შემსრულებელმა) განთავისუფლებული ხერსონიდან შექნებულ სახით ამცნო მსოფლიოს, რომ „ინფრასტრუქტურა სრულიად გაპარტახებულია, აღარც სინათლეა, აღარც წყალი, აღარც ტელევიზია და ინტერნეტი, რუს ოკუპანტებს ამსოლუტურად ყველაფერი გაუნადგურებიათ და დაუნადგურებიათ... მეორე დღეს ლუგანსკის ოლქის გუბერნატორმა გააფრთხილა სახლებში დარჩენილები, რომ „ყველაფერი დანადგულია და შეიძლება საკუთარ ეზოშიც კი აფეთქდეთო“, ხოლო ზელენსკის მეუღლემ ტელეინტერვიუში განმარტა, „ომი მარათონში გარკვენი არ არის, რომ ვისოდღე, ფინიშაღე რამდენი დარჩაო“...

ფაქტია, გარდა იმისა, რომ რუსები ადმინისტრაციულ შენობებთან ერთად, საცხოვრებელ სახლებსაც იშვიათად ესვრიან რაკეტებს (არადა, სირიაში ათეულათასობით მხოლოდ ბავშვი დაახოცეს...), არც ევროპიდან შემომავალ მთავარ სატრანსპორტო არტერიებს ერჩიან, რომლებითაც ნატოს წევრი ქვეყნებიდან უკრაინაში იარაღი მასობრივად შემოედინება. ამასთან, ძირითადად, საარსებოდ აუცილებელი ინფრასტრუქტურული ობიექტები იბომბება, რაც მილიონობით ადამიანს საცხოვრებელი ადგილის მიტოვებას აიძულებს. ლოგიკურია, რომ უმრავლესობა დასავლეთის მიმართულებით გადაადგილდება და განვითარებულ ქვეყნებში ცდილობს თავის შეფარებას, საითვე ნაც გზაც გახსნილია... მიმართა, რომ ერთმონ-












ამა წლის 30 ნოემბერს თქვენს ბაგეთში, რუბრიკით „რას არ ბაიბა“ ღიაა და რიგში სწორი წარმომავლის დაკავშირება...

პატივისცემით, თქვენი გაბეითი ერთგული მკითხველი, პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, გუბინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერტი მალხაზ ლომიძე.

# მალხაზ ლომიძე: საკვების დამზადებას პროფესიონალები უნდა ემსახურებოდნენ!

საკვების დამზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საბაზისური საკითხია. დღეს მის წარმოებაში რევოლუციური ცვლილებები, რადგანაც მეცნიერები და ამ დარგის სპეციალისტები სულ ახალ-ახალ ინგრედიენტებსა და დანამატებს, ასევე ახალ ტექნოლოგიებს...



ობრივი პრობლემა აღარ არის, თუმცა პრობლემა შე-საბამისი განათლებისა და ინჟინერ-ტექნოლოგიური პერსონალის დეფიციტი. შედეგებმა არ დააყოვნა გაჩენა უაზრო რეკლამები - „პური საფუარის გარეშე“...

მთელ მსოფლიოში, მათ შორის ჩვენშიც სულ უფრო მეტად ინერგება საკვების დამზადების ინტენსიური ტექნოლოგიები (უფრო გასაგებად, „დაჩქარებული“) რადგან გაძვირდა ენერგომატარებლები, გაჩნდა დროის პრობლემა. მაგალითად პურის უხვა ფქვილიდან პურამდე მსაათს მოიცავდა, დღეს ეს პროცესი 2-3 საათში ხორციელდება, დაჩქარებულია შამპანურის, რძის პროდუქტების, ხორცპროდუქტებისა და თითქმის ყველა საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესები. მათი სრულყოფისთვის, ხარისხის მიღწევისთვის სულ უფრო ინერგება საკვები დანამატების, ფერმენტების გამოყენების საკითხი. საკვები დანამატები იდეალურად აძლევს საკვები პროდუქტების ხარისხს. ეს ამცირებს მისალბი საკვების რაოდენობას, სწრაფად კვავს წყურვილს და მადას, უზრუნველყოფს სხვადასხვა დაავადების გამომწვევის რისკის შემცირებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ XXI საუკუნეში გაჩნდა ქიმიური და ბიოქიმიური საკვები დანამატების ასორტიმენტი და მას შტაბები. აქაც მეცნიერების მოსაზრებები განსხვავებულია - ზოგიერთი ინსინებს ზოგიერთი არ ინსინებს მათ მოხმარებას. ფაქტია, გაიზარდა ქიმიური და ბიოქიმიური წარმოების ასორტიმენტი, მათ შორის ორგანული ნაფერი და უჯერი მჟავების, ამინომჟავების, ცილების, კონცენტრატების, ფერმენტების, საკვები ბოჭკოების, არომატიზატორების და საგემონო ნივთიერებების სტრუქტურა-წარმოქმნის და სხვათა წარმოება. ადამიანის ჯანმრთელობა 12%-ით დამოკიდებულია ჯანდაცვაზე, 18%-ით გენეტიკურ წინამძღვრებაზე, 70%-ით კი ცხოვრების წესზე, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია კვება და საკვები. საკვებ პროდუქტებს უნდა ჰქონდეს ტრადიციული მახასიათებელი კონსისტენცია, ეს არის - ფერი, გემო, არომატი, რომლებიც დამოკიდებულია მათში ბუნებრივ ან ხელოვნურად დამატებული ნივთიერებების შემცველობაზე, მათი გამოყენება აძლევს საკვებ პროდუქტებს მეტ ესთეტიკურობასა და მიმზიდველობას, ხელს უწყობს მადის გადიდებას და საკვების უფრო ეფექტურ შეთვისებას. ამგვარად მსოფლიო პურპროდუქტების დარგზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. 1996 წელს მოხდა დარგის განსახელმწიფოებრიობა, ანუ პურპროდუქტების სფერო კერძო სექტორში გადავიდა. ყოფილი სახელმწიფო ქარხნებიდან უმეტესობა დაიხურა, თუმცა გაჩნდა კერძო ფირმები და სანარმოები. დარგი შეივსო მარკეტოლოგიითა და ეკონომისტიკით. სამწუხაროდ, მოიშალა და გაქრა ფქვილის ტარის გარეშე (უტომრო) გადაზიდვების პროგრესული ფორმა, რამაც რისკის წინაშე დააყენა ხარისხის შემონახვა. მართალია ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ პურპროდუქტების რაოდენ-

ობრივი პრობლემა აღარ არის, თუმცა პრობლემა შესაბამისი განათლებისა და ინჟინერ-ტექნოლოგიური პერსონალის დეფიციტი. შედეგებმა არ დააყოვნა გაჩენა უაზრო რეკლამები - „პური საფუარის გარეშე“...

უნდა ვიცოდეთ, ადამიანი იყენებს მცენარეულ და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს, რომელიც შედგება ცნობილი ქიმიური ნივთიერების ტრიადისაგან - ცილები, ცხიმები და ნახშირწყლებისაგან. ყველა საკვები პროდუქტი დროთა განმავლობაში განიცდის დაჟანგვას (ანუ ფუჭებას), ამიტომაც დღის წესრიგში დადგა დაჟანგვა-ფუჭების შემაფერხებელი ღონისძიებების ჩატარება. ამას ითხოვს მარკეტინგი, ამას ითხოვს დრო. გაიზარდა მოთხოვნები სუნისა და გემოს მარკეტინგული თვისებების გაზრდისადმი, რამაც შესაძლებელი გახდა კონსერვანტი და სხვა

საკვები დანამატების გამოყენება, ურომლისოდაც მსოფლიოში თითქმის არც ერთი საკვები საწარმოო აღარ მუშაობს. საკვებ დანამატს უწოდებენ ბუნებრივ ან სინთეზურ ნივთიერებებს, რომელთა დამატება საკვებ პროდუქტებში, ან ნედლეულში ნებადართულია კანონმდებლობით. ამიტომაც როგორც ზემოთ აღვნიშნავდით დღეს ფართოდ ინერგება ინტენსიური, ანუ სწრაფი ტექნოლოგიური პროცესები. განსაკუთრებით ეს სურსათის დამზადებაში გამოიხატა.

მსოფლიოში წარმოებული საკვები დანამატების რიცხვმა 2000 გადააჭარბა, აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყო საკვები დანამატების წარმოება. დღეს თბილისის აფთიაქებში იყიდება ამერიკული საკვები დანამატები სპორტსმენებისთვის ვიტამინების სახით, შემოვიდა და გაყიდვაშია ფრანგული საკვები დანამატები, სულ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო ბიოლოგიურად აქტიური დანამატების წარმოებამ - ე.წ. ბადები ანუ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები - ისინი წამლის ჯგუფს არ მიეკუთვნებიან. ამის ნათელი მაგალითია, თუ როგორ აპელირებდნენ პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტის მიერ საკვების მიღების პროცესზე, და გვიმტკიცებდნენ ეს წამალიაო. აშშ-ში ბადის ძირითადი ფუნქცია ადამიანის ორგანიზმზე მათი მასტიმულირებელი, საერთო გამამაგრებელი მოქმედებაა, ბადებს, როგორც წამალს არ უკეთებენ და არ უტარებენ სავალდებულო გამოცდებსა და რეგისტრაციას, ამიტომაც ბადებს მრავალი ქვეყნის საკვები ფირმები აწარმოებენ ზოგიერთი სპორტმენისათვის, ზოგიერთს პოდიუმის მანეკენებისათვის, ზოგიერთს გასახდომად, ზოგიერთს კი პირიქით - მადის გაზრდისათვის და გაძლიერებისთვის. ასე რომ ისინი წამალ-მედიკამენტებს არ მიეკუთვნებიან, არამედ არაჩვეულებრივი საკვები პროდუქტია.

## მეორე საკვირი ადამიანი შეიქმნა ადვანს-ფორმის ნივთი:

- 1. ფუნქციური დანიშნულებით; 2. მიღების წყარო; 3. ქიმიური აღნაგობა. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული საკვები დანამატების ციფრული კოდირების სისტემა, რომლის შესაბამისად ყოველ დანამატს მინიჭებული აქვს E ნომერი. (E - ევროპის ნიშნავს, რადგან სწორედ აქ დაიწყო მათი კოდირება და დაჯგუფება რა შემადგენლობისაა ესა თუ ის დანამატი). გთავაზობთ საკვები დანამატების ძირითად ჯგუფებს შექმნისას დააკვირდით შეფუთულ საკვებს, რომელზეც ყოველთვის მინიშნებულია რომელი E არის გამოყენებული, თუმცა მრავალი ფირმა ისეთი ზომის შრიფტით აღნიშნავს ამ კოდს, რომ წაკითხვა შეუძლებელია, ეს კი მიზანშეწონილი არ არის.

- E100 - E182 - საღებავები, E200-დან შემდეგ კონსერვანტები, E300-დან შემდეგ ანტიოქსიდანტები, E400 - E430 სტაბილიზატორები, E430 - E600 ემულგატორები, E600 - E685 გამაფხვიერებლები, E620 - E642 გემო და არომატის მიმცემი, E642 - E999 სათადარიგო ინდექსი, E900 - E921 დამატებობელები.

ყოველივე ეს მიუთითებს, თუ რისგან არის გაჯერებული ესა თუ ის პროდუქტი.



## კოლორეპტული კიბოს უსნაურობანი...

კვიზის რასიონში ერთი მარტივი სვლილვა კახაში ნაწლავის კიბოს რისკს ამცირებს

მცენარეულ საკვებს ჯანმრთელობისთვის მრავალი სარგებელი აქვს; მაგალითად, ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, მაღალი არტერიული წნევისა და მე-2 ტიპის დიაბეტის რისკებს. ხილისა და ბოსტნეულის რეგულარულად ჭამამ შეიძლება ასევე შეამციროს ზოგიერთი ტიპის კიბოს განვითარების რისკიც. აშშ-ში 79 952 მამაკაცზე ჩატარებულმა ახალმა კვლევამ აჩვენა, რომ ბოსტნეულით, ხილით, მთლიანი მარცვლეულით, პარკოსნებით, თხილეულითა და თესლებით მდიდარი კვების რაციონი დაკავშირებულია კოლორექტუ-

ლი კიბოს (მსხვილი და სწორი ნაწლავის) 22 პროცენტით ნაკლებ რისკთან, ვიდრე იმ ადამიანების შემთხვევაში, რომლებიც მცირე ოდენობით მცენარეულ საკვებს მიირთმევენ. კვლევა მსოფლიო დაკვირვებითია, რაც იმას ნიშნავს, რომ მეცნიერებმა ჯერ კიდევ არ იციან, რატომ არის ზოგიერთი საკვები დაკავშირებული ნაწლავის უკეთეს ჯანმრთელობასთან. თუმცა, აქვთ გარკვეული მოსაზრებები.





# პრემია „ნაკადულის“ ნომინანტები


თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებისა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით დაარსებული საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადულის“ ნომინანტები ცნობილია.

კონკურსის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იყო 55 ნიგნი, ოთხ ნომინანტში კი 12 მათგანი გადაიარჩილა.

**საუკეთესო პროზაული ნიგნი:**

1. „ახალი მწიფე გარგარის ქუჩაზე“ – ავტორი თეა თოფურია (გამომცემლობა სეზანი);

2. „რაკრაკ-რუკრუკა ამბები“



– ავტორი ლელა ცუციერიძე (ელვის გამომცემლობა);

3. „ხვლიკი კოსტას ამბები“ – ავტორი აკაკი ადუაშვილი (გამომცემლობა მერიდიანი).

**საუკეთესო პოეტური ნიგნი:**

1. „დინოზავრებიდან კომპიუტერამდე“ – ავტორი ვასო გულეური (გამომცემლობა სეზანი);

2. „ბელურების ბაღი“ – ავტორი რობერტ მესხი (გამომცემლობა სამშობლო).

**საუკეთესო ილუსტრირებული ნიგნი:**

1. „ქართული მითური გმირები და მათი სამყარო“ – ავტორი ვარლამ ჯმუხაძე (გამომცემლობა არტანუჯი);

2. „სიზმარა“ – ავტორი ვარლამ ჯმუხაძე (გამომცემლობა არტანუჯი);

3. „ციცი, ნანუნა და კეთილი ბიჭუნა“ – ავტორი ხატია ჩიტორელიძე (გამომცემლობა ინტელექტი);

4. „მართიკოს ვაშლის ხე“ – ავტორი ლიზა ფირცხალავა (გამომცემლობა პალიტრა L).

**საუკეთესო საბავშვო ნიგნი:**

1. „ქართული მითური გმირები და მათი სამყარო“ – ავტორი ინგა ანთიძე (გამომცემლობა არტანუჯი);

2. „ზუზუნები და ლუტუნები“ – ავტორი ირმა მალაციძე (გამომცემლობა არტანუჯი);

3. „ჩემი სხული“ – ავტორი მკვა სესკურია (სულაკაურის გამომცემლობა).

ნომინაციების გამარჯვებულებს შერჩეული ხუთნეგრიანი ჟიური გამოავლენს. გამარჯვებულებს გადაეცემათ პრიზი და 2500-ლარიანი პრემია.

„ნაკადულის“ გამარჯვებულთა დაჯილდოება 18 დეკემბერს, წიგნის საახალწლო ფესტივალის ფარგლებში, გაიმართება.

პრემიის სახელი ერთ-ერთ პირველ, ლეგენდარულ ქართულ საბავშვო ჟურნალ „ნაკადულს“ უკავშირდება, რომელიც 1904-1927 წლებში გამოიცემოდა და მასთან თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, ლეო ქიქელი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები.



## ბრიტანეთში ბავშვი LEGO-საბნ აწყობილ ეგზაზში მონაწილე

ნათელაბა ოუკემბტონში, ყველა წმინდანის ეკლესიაში ჩატარდა, სადაც 2021 წელს მოქმედებს ინიციატივა „ლეგოს ეკლესია“. ინიციატივის მიზანია ეკლესია ბავშვებისთვის უფრო ხელმისაწვდომი და გასაგები გახადოს.

სწორედ ამ წამოწყების ფარგლებში მოინათლა 2 თვის ოლივერი. ბავშვის დედის თქმით, „ლეგო“ ყველას აერთიანებს და ყველა ასაკის ადამიანს ხელს უწყობს სწავლასა და ერთად ლოცვაში“. ეს Lego-ს გამოყენებით ჩატარებული პირველი ნათლობა იყო დიდ ბრიტანეთში.

## „გამოსდის ჩაბარებას პირი პრემია“ ...

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს ავღანელ გოგონებს სასწავლო დაწესებულებებში სიარული აკრძალა, მათ ახლა „თალიბანი“ საშუალო სკოლის გამოცდებზე მონაწილეობის მიღების უფლებას რთავს.



თალიბანის განათლების სამინისტროს ორი დოკუმენტის თანახმად გადაწყვეტილება ვრცელდება ავღანეთის 34 პროვინციიდან 31-ზე. ქაბულის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ეპ სანულა კიტაბმა თქვა, რომ გამოცდები 7 დეკემბერს ჩატარდება.

„ეს სასაცილოა, მთელი წელი გავატარეთ დიპაბულობისა და სტრესის ქვეშ. ჩვენი სახელმძღვანელოების არც ერთი გვერდი არ წაგვიკითხავს. როგორ შეიძლება ჩავაბაროთ გამოცდა წელიწად-ნახევრის შემდეგ, როდესაც თალიბანმა სკოლის კარები დახურეს“, – ამბობს 18 წლის ნაჯულამ ქაბულიდან. ამასთან, ქაბულის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა თქვა, რომ 14 საგანში მე-12 კლასელ გოგონებს მხოლოდ ერთი დღე ექნებათ გამოცდის ჩასაბარებლად. დირექტორი, რომელიც რეპრესიების შიშით ანონიმურად საუბრობს აცხადებს, რომ გამოცდის ჩაბარება აზრს მოკლებულია, რადგან გოგონებს სკოლებში არ უვლიათ.



## ყველა დროს 100 საუკეთესო ფილმი

რეიტინგის პირველ საფეხურზე ბელგიელი რეჟისორის შანტალ აკერმანის დრამა „ჟანა დილმანი კომერციის სანაპირო 23. ბრიუსელი 1080“ აღმოჩნდა, რომელიც 1975 წელს გამოვიდა.

საუკეთესო სამეულში ასევე მოხვდნენ ალფრედ ჰიჩკოკის „თავბრუსხვევა“ და ორსონ უელსის „მოქალაქე კენი“. მეოთხე ადგილზეა იაპონური დრამა „ტოკიური ამბავი“ და ვონგ კარ-ვაის „სასიყვარულო განწყობა“.

რეიტინგის შედგენამდე Sight and Sound-ის წარმომადგენლებმა გამოკითხეს 1639 კინოკრიტიკოსი, პროგრამისტი, კურატორი, არქივარიუსი და მეცნიერი, რომლებმაც საკუთარი საუკეთესო ათეულები დაასახლეს.

## არგენტინის პრეზიდენტს და ყოფილ პრეზიდენტს ნ-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

არგენტინის ვიცე-პრეზიდენტი და ყოფილი პრეზიდენტი კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი თაღლითობაში და მონაწილეობაში დაჯილდოვდა ცნეს და ნ-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, სასამართლომ მას ასევე სახელმწიფო თანამდებობების დაკავება აუკრძალა.



ბრალდება ეხებოდა თაღლითური სქემის შექმნას, რომლის შედეგადაც ხელი-სუფლებამ კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერის პრეზიდენტობის დროს 1 მილიარდი დოლარი მიითვისა. სასამართლომ ის უდანაშაულოდ ცნო დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრალდებაში, რომელიც 12-წლიანი პატიმრობას ითვალისწინებდა.

განაჩენი ვერ ამოქმედდება აპელაციის განხილვამდე, ამჟამად არგენტინის ვიცე-პრეზიდენტს სისხლის სამართლებრივი დევნისგან იმუნიტეტი იცავს. კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა განაჩენი გააკრიტიკა და საკუთარ თავს „სასამართლო მაფიის“ მსხვერპლი უწოდა. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ კენჭს არ იყრის მომავალ წელს პრეზიდენტის თანამდებობაზე, რომელსაც უკვე იკავებდა 2007-2015 წლებში.

## მთავრობის დახმარება გერმანიაში სსპ-ს...



გერმანიაში მთავრობის დახმარების მიზნით, შეთქმულებაში მონაწილე 25 ადამიანი დააკავეს. ულტრამემარჯვენე და ყოფილი სამხედრო მოღვაწეების ჯგუფი გეგმავდა პარლამენტის შენობაში შეჭრას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. გეგმის ნაწილი იყო 71 წლის პრინც ჰაინრიხ XIII-ის ხელი-სუფლებებში მოყვანა.

პროკურორის თქმით, პრინც ჰაინრიხ XIII არის ერთ-ერთი იმ ორი სავარაუდო ლიდერიდან, ვინც დააკავეს. სამართალდამცველებმა რეიდები 11 სხვადასხვა რეგიონში ჩატარეს. დაკავებულებს შორის არიან ექსტრემისტული დაჯგუფება „რაიხის მოქალაქეების“ წევრებიც. იუსტიციის მინისტრმა მარკო ბუშმანმა ტვიტერზე დაწერა, რომ დიდი ანტიტერორისტული ოპერაცია მიმდინარეობდა და სავარაუდოდ იგეგმებოდა შეიარაღებული თავდასხმა კონსტიტუციურ ორგანოებზე. პროკურორის განცხადებით, დაკავებულებს შორის არიან ულტრამემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლები და ყოფილი სამხედრო ფიგურებიც. ფედერალური პროკურორი, ასევე, დასძენს, რომ ჯგუფი ძალადობრივ გადატრიალებას 2021 წლის ნოემბრიდან გეგმავდა.

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS RESPUBLIKA**  
 შავშავაძის ბაზარი №17ა  
 მთავარი რედაქტორი  
 სპარტაკ ძოგულია  
 599 36-00-35  
 პასუხისმგებელი რედაქტორები:  
 გურამ გომიანიძე  
 599 53-76-16;  
 ალექს  
 ასლანიშვილი  
 599 56-81-86;  
 პასუხისმგებელი მდივანი  
 მამუკა ვაშაკიძე  
 514 33-33-24

**გამომცემლობა:**  
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 599 53-76-16; 599 36-00-35  
 შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79  
 იზაბელა სტამბა  
 „კოლორი“  
 ე. პალაშვილის №3

**კოლორი ჰაუზი**  
 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323  
 2 009882 616932  
 ავტორთა სახურადლეოლ!  
 რედაქციის მიერ შუამთავრობით გასალაზი დანიშნულა  
 ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გუდაამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხუტაზი პასუხს ავბავან ავტორები.

**გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ირავბათს, 12 დეკემბერს**

ს	<b>უსტორი ვალუტის ქარსი:</b>	<b>აინდი 8 დეკემბრისთვის</b>	<b>დაბირიკაით, მოგვნიკაით:</b>
	აუუ დოლარი - 2.6943; ეპრო - 2.8287;	აქონსაქონი სპარკოვოლ:	ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
	ბრიტანული ბირავნა სტერლინგი - 3.2779;	ბარი - ლავი -6, ლავი +8	ელ. ფოსტა: <b>sakresp@top.ge</b>
	100 რუბლი - 4.3353; თურქული ლირა - 0.1446;	მინი რაიონი - ლავი -7, ლავი +7	და <b>sakresp@mail.ru</b>
აპერავნიკანული მანათი - 1.5870;	დასავლეთი სპარკოვოლ:	ვებ-გვერდი: <b>www.sakresp.ge</b>	
1000 სომხური დრამი - 6.8231	ბარი - ლავი +4, ლავი +17		
	მინი რაიონი - ლავი -1, ლავი +15		
	თბილისი: ლავი -2, ლავი +6		